აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი

25 მარტი, 2013 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრონციპების, სახელოვნებო სწავლების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლებისა და პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სახელოვნებო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების ინტეგრირებას მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თანამედროვე მოთხოვნებთან სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის მიმართულების სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასების, სასწავლო პრაქტიკისა და შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- საშემსრულებლო სპეციალობის სტუდენტთა პროფესიული დონის ამაღლებას, რადიოსა და ტელევიზიის წარმოების პრაქტიკული საფუძვლების გაცნობას;
- მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ხელის შეწყობას.
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი კულტურულ-შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას სახელოვნებო განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. მხარეები განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

1.3. მონაწილეობას მიიღებენ სადიპლომო ნაშრომების ექსპერტიზაში.

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების სახელოვნებო პროფესიულ მოთხოვნებთან ადაპტაციის, დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი ხელს შეუწყობს სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე შეთანხმებით გათვალის-წინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯოდმარე ს. სტურუა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია